ჯონ დიუი

თავისუფლება
და
კულტურა

ინგლისურიდან თარგმნა
გიორგი თავაძემ

JOHN DEWEY

FREEDOM AND CULTURE

Translated by
Giorgi Tavadze

თბილისი 2014 Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტი

Grigol Robakidze University
Institute of Philosophy and Social Sciences

სამეცნიერო რედაქტორები: პროფ. **თენგიზ ირემაძე**
პროფ. **ლალი ზაქარაძე**

დაკაბადონება და ყდის დიზაინი: **გიორგი ბაგრატიონი**

Scientific Editors: Prof. Dr**. Tengiz Iremadze**
Prof. Dr**. Lali Zakaradze**

Layout and cover design: **Giorgi Bagrationi**

© ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა
კვლევითი ინსტიტუტი, 2014

© Institute of Philosophy and Social Sciences, 2014

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2014
Grigol Robakidze University Press, 2014

ISBN 978-9941-0-7374-8

სარჩევი

წინათქმა 5

გიორგი თავაძე
ჯონ დიუი – რადიკალური დემოკრატიის მესიტყვე 6

ჯონ დიუი

თავისუფლება და კულტურა 19

თავი პირველი. თავისუფლების პრობლემა 20

თავი მეორე. კულტურა და ადამიანის ბუნება. 37

თავი მესამე. ამერიკული საფუძვლები 58

თავი მეოთხე. ტოტალიტარული ეკონომიკა
და დემოკრატია 78

თავი მეხუთე. დემოკრატია და ადამიანის ბუნება 101

თავი მეექვსე. მეცნიერება და თავისუფალი კულტურა . . . 124

თავი მეშვიდე. დემოკრატია და ამერიკა 144

შენიშვნები. 163

სახელთა საძიებელი 170

CONTENTS

Preface 5

Giorgi Tavadze
John Dewey: Champion of Radical Democracy 6

John Dewey

FREEDOM AND CULTURE 19

Chapter One. The Problem of Freedom 20

Chapter Two. Culture and Human Nature 37

Chapter Three. The American Background 58

Chapter Four. Totalitarian Economics and Democracy . . . 78

Chapter Five. Democracy and Human Nature 101

Chapter Six. Science and Free Culture 124

Chapter Seven. Democracy and America 144

Notes 163

Name Index 170

წინათქმა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტი დიდი ამერიკელი ფილოსოფოსის, ამერიკული პოლიტიკური აზროვნების თვალსაჩინო წარმომადგენლის, ჯონ დიუის (1859-1952 წწ.) საყოველთაოდ ცნობილი ნაშრომის „თავისუფლება და კულტურა“ (1939 წ.) პირველ ქართულ თარგმანს სთავაზობს მკითხველს. წინამდებარე ქართული თარგმანი შესავალი წერილისა და საგანგებო შენიშვნების თანხლებით შეასრულა ფილოსოფიის დოქტორმა, ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელმა გიორგი თავაძემ.

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევით ინსტიტუტში უკვე რამდენიმე წელია, რაც ინტენსიური მუშაობა მიმდინარეობს ამერიკული პოლიტიკური აზროვნების უმნიშვნელოვანესი ტექსტების შესწავლისა და ანალიზის კუთხით. უკვე გამოიცა კიდეც არაერთი მნიშვნელოვანი ტექსტის მაღალკვალიფიციური ქართული თარგმანი სათანადო შენიშვნებისა და გამოკვლევების თანხლებით (ალექსანდრე ჰამილტონი, ჯეიმს მედისონი, ჯონ ჯეი, „ფედერალისტი. პოლიტიკური ესეები“, ალექსის დე ტოკვილი, „დემოკრატია ამერიკაში“, ლეო შტრაუსი, „რა არის პოლიტიკური ფილოსოფია?“, თომას პეინი, „საღი აზრი“, „ამერიკელ განმანათლებელთა პოლიტიკური ესეები“ და სხვ.). წინამდებარე გამოცემას თან ახლავს ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი ინსტიტუტის მიერ გამოქვეყნებული სამეცნიერო სერიებისა და მათ ფარგლებში განხორციელებულ გამოცემათა სრული ნუსხა.

იმედი გვაქვს, რომ ჯონ დიუის ამ მეტად საყურადღებო ნაშრომის ქართული თარგმანი ისევე მიიპყრობს ქართველი მკითხველი საზოგადოების ყურადღებას, როგორც ჩვენი ინსტიტუტის მიერ წინა წლებში შესრულებული სხვა გამოცემები.

თენგიზ ირემაძე
გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
ფილოსოფიისა და სოციალურ მეცნიერებათა კვლევითი
ინსტიტუტის დირექტორი

ქ. თბილისი, 26 მაისი, 2014 წელი

გიორგი თავაძე

ჯონ დიუი – რადიკალური დემოკრატიის მესიტყვე

გამოჩენილი ამერიკელი ფილოსოფოსი ჯონ დიუი (1859-1952 წწ.) დაიბადა ბერლინგთონში, ვერმონტის შტატის (აშშ) უდიდეს ქალაქში.[1] 1879 წელს დიუიმ დაასრულა ვერმონტის უნივერსიტეტი, ხოლო შემდეგ სწავლა განაგრძო ჯონს ჰოპკინსის უნივერსიტეტში (ბალტიმორი, მერილენდის შტატი) ფილოსოფიის მიმართულებით, სადაც ნეოჰეგელიანელი იდეალისტის, ჯორჯ სილვესტერ მორისის (1840-1889 წწ.) გავლენის ქვეშ მოექცა. 1884 წელს დიუიმ დოქტორის ხარისხი მიიღო (მისი სადოქტორო ნაშრომი კანტს ეხებოდა) და მორისთან ერთად მიჩიგანის უნივერსიტეტში გადავიდა. 1889 წელს, მორისის მოულოდნელი გარდაცვალების შემდეგ, დიუი ფილოსოფიის დეპარტამენტის ხელმძღვანელი გახდა.

1894 წელს დიუიმ ახლად დაარსებულ ჩიკაგოს უნივერსიტეტში განაგრძო მოღვაწეობა. 1890-იან წლებში მისი იდეალისტური ფილოსოფია პრაგმატიზმით ჩანაცვლდა.[2] ამავე პერიოდში დიუიმ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო პედაგოგიკისა და სასკოლო რეფორმის საკითხებს. ამ მხრივ აღსანიშნავია მისი ნაშრომები „სკოლა და საზოგადოება“ (1899 წ.) და „ბავშვი და კურიკულუმი“ (1902 წ.).

1904 წელს დიუიმ დატოვა ჩიკაგოს უნივერსიტეტი და კოლუმბიის უნივერსიტეტის (ნიუ-იორკი) ფილოსოფიის დეპარტამენტში გადავიდა, სადაც 1930 წლამდე ასწავლიდა. ჩიკაგოს უნივერსიტე-

---

1 ჯონ დიუის ბიოგრაფიის გადმოცემისას ვისარგებლე შემდეგი წყაროებით: R. Westbrook, “The making of a democratic philosopher: the intellectual development of John Dewey”, in: M. Cochran (ed.), *The Cambridge Companion to Dewey*, Cambridge: Cambridge University Press, 2010, pp. 13-33; R. J. Bernstein, “Dewey’s vision of radical democracy”, in: M. Cochran (ed.), *The Cambridge Companion to Dewey*, pp. 288-308; M. Festenstein, “Dewey’s Political Philosophy”, *Stanford Encyclopedia of Philosophy*, http://plato.stanford.edu/entries/dewey-political/ (წვდომა განხორციელდა 2014 წლის 1 დეკემბერს).

2 ტერმინი „პრაგმატიზმი“ 1898 წელს შემოიტანა ამერიკელმა ფილოსოფოსმა და ფსიქოლოგმა უილიამ ჯეიმსმა (1842-1910 წწ.). ჯეიმსის თანახმად, მნიშვნელობისა და ჭეშმარიტების კატეგორიები ერთიანდება უფრო მომცველ, ღირებულების კატეგორიაში: იმისათვის, რათა განვსაზღვროთ ამა თუ იმ იდეის მნიშვნელობა/ჭეშმარიტება, საჭიროა, შევაფასოთ მათი „პრაქტიკული შედეგები“ და „სარგებლიანობა“. დიუიზე განსაკუთრებული გავლენა იქონია ჯეიმსის ნაშრომმა „ფსიქოლოგიის საფუძვლები“ (1890 წ.).

თავი პირველი

თავისუფლების პრობლემა

რა არის თავისუფლება და რატომ არის ის ასე ფასეული? არის თუ არა თავისუფლებისაკენ სწრაფვა ადამიანური ბუნების მახასიათებელი თუ ის გარკვეულ გარემოებათა ზემოქმედების შედეგია? თავისუფლება მიზნად ითვლება თუ საშუალებად? ხომ არ გულისხმობს თავისუფლების ქონა პასუხისმგებლობებს? ხომ არ არის ეს პასუხისმგებლობები ისეთი მძიმე, რომ ბევრმა ადამიანმა უყოყმანოდ ანაცვალოს თავისუფლება უფრო იოლ ყოფას? ხომ არ არის თავისუფლებისათვის ბრძოლა ისეთი რთული, რომ ადამიანთა უმრავლესობამ ხელი აიღოს თავისუფლების მოპოვებასა და მის შენარჩუნებაზე? ითვლება თუ არა თავისუფლება და ის, რაც მას მოჰყვება, ისეთივე მნიშვნელობის მქონედ, როგორიცაა უსაფრთხოება, საკვები, თავშესაფარი, ჩაცმა-დახურვა, თვით დროის კარგად გატარება? ფიქრობდნენ თუ არა მის შესახებ ოდესმე ისევე, როგორც ჩვენ გვასწავლიან ამ ქვეყანაში? არის თუ არა რაიმე ჭეშმარიტება იმ ძველ დებულებაში, რომლის თანახმად პოლიტიკური ისტორიის მამოძრავებელ ძალას წარმოადგენს უბრალო ადამიანის სწრაფვა თავისუფლებისადმი? იყო თუ არა პოლიტიკური დამოუკიდებლობისათვის ჩვენი ბრძოლა თავისუფლებისაკენ ჭეშმარიტი სწრაფვა? თუ არსებობდა მთელი რიგი სირთულეები, – რომელთაც არაფერი ჰქონდათ საერთო გარდა იმისა, რომ დამთრგუნველად აღიქმებოდნენ და რომლებისგან გათავისუფლებაც ჩვენს წინაპრებს სურდათ?

არის თუ არა თავისუფლების სიყვარული უფრო მეტი, ვიდრე გარკვეული შეზღუდვისაგან გათავისუფლების სურვილი? ხოლო როდესაც ეს შეზღუდვა არ არსებობს, ხომ არ კვდება მასთან ერთად თავისუფლების სურვილიც იმ დრომდე, ვიდრე სხვა რამე არ აღიქმება, როგორც გაუსაძლისი? აგრეთვე, როგორ შეიძლება შევადაროთ თავისუფლების სურვილი სხვებთან – განსაკუთრებით იმათთან, რომლებიც ადრე ზემდგომნი იყვნენ – თანასწორობის სურვილს? აქვს თუ არა თავისუფლების ნაყოფს იგივე სიტკბო, რასაც სხვებთან ერთიანობის განცდა აღძრავს? დათმობენ თუ არა ადამიანები საკუთარ თავისუფლებას, თუ მათ სწამთ, რომ ამით მიიღებენ კმაყოფილებას, რომელიც სხვებთან გაერთიანების შედეგად წარმოიშობა და პატივისცემას სხვებისგან, რომელიც სოლიდარობის საფუძველზე აღმოცენებულ სიძლიერეს ემყარება?

მსოფლიოს თანამედროვე მდგომარეობა მსგავს შეკითხვებს ყველა დემოკრატიული ქვეყნის მოქალაქეების წინაშე აყენებს. ეს მდ-